ქვირა, 7/ ივნისი | მიილება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზ-ე | № 23—1915

თვიურად ჟურნალი ჰღირს 40 კ.

მადლიერ ერისაგან დადაფნილი აკაკი

საშაბათს, 9 ივნისს, მისი დაბადების დღეს, სახაზინო თეატრში და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში იმართება „აკაკის სალამო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 9 ივნისს, აპაკის დაბადების დღეს გაიმართება პირველი

საღამო აკაკისა

რომლის წმ. შემოსავალი გადაიდება სასქართველოს სალიტერატურო საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან არსებულ აკაკის სახელობის ზეპირსიტყვაობის შესაკრებ ფონდის გასაძლიერებლად

საღამოს შინაარსი:

I შესავალი სიტყვა.

II „ნათელა“ ერთ სურათად, დადგმული ად. წუწუნავას ხელმძღვანელობით; ქ-ნ ე. ამირაჯიბისა, ი. ზურაბიშვილის და თვ. ნიკოდიზ ერისთავის მონაწილეობით. მომდერადთ გუნდი ბ-ნ **სანდრო კავსაძის** ხელმძღვანელობით შესრულებს დასავლეთ სასქართველოს სიმღერებს. **სანდრო კავსაძე** გუნდის დახმარებით შეასრულებს სოდის **„დიიგვიანეს“**

III საკონცერტო განყოფილება კომპოზიტ. **კ. ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით; მონაწილეობას მიიღებენ: **ქ-ნი ნ. ვესელოვზოროვისა** (პახუტაშვილის ასული), ბ-ნნი: **ივ. სარაჯიშვილი, ტომაშვილი** და **ჭუმბურიძე.** აგრეთვე მომდერალთა გუნდი ბ-ნ **სანდრო კავსაძის** ლოტბარობით; **საკონცერტო განყოფილებაში** სხვათა შორის შესრულებული იქნება პირველად: **„ციერას არია“** მ. ბალანჩივაძის ოპერა **„თამარ ცბიერი“**-დან. **„ალმართ ალმართ“** — სიმღერა კ. ფოცხვერაშილის, **„ივ ნანა“** — იპოლიტოვ-ივანოვისა **„განთიადი“** კ. ფოცხვერაშვილისა, **„გოჩას არია“** „თამარ ცბიერიდან“ და სხვა.

IV. ცოცხალი სურათები: ა) „მოჯაჭვული ამირანი“, ბ) „განთიადი“ და გ) ა პოთეოზი ბილეთები იყიდება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების (სასახლის ქუჩა თავადაზნაურობის ქარავასლა) მაღაზიის გამგის თავ. ივ. ავალიშვილთან, დილის 10-დან 2 ს-დე და საღამოს 5-დან 7 ს-დე. ბილეთები არავის დაეგზავნება. ✦ **დასაწყისი საღ. 8 $^1/_2$ ს.**

სახალხო სახლი

კვირას 7 ივნისს სახალხო სახლის ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ბიესი ეგ. ხინოშვილის მოთხრობიდან

ქრისტინე

დრამა 4 მოქ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ს. ანკარი, ო. ანტუანეტა, მარათაშვილი, ლ ბოდერძი, მატარაძე, მ. რომანიშვილი, ნ. თოიძე; ბ.ბ. გ. ანაშვილი, ა. ივერელი, ა.მეტრეველი, ი. მინდიაშვილი, ვ. რატიშვილი, თვალჩრელიძე, მ. ჭიაურელი და სხ.

ადგილების ფასი 4 კ. 50 კ-დე

რეჟისორი კ. მათირაშვილი

კასტა ა. ბადრიძე

ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეურნეო და სალიტერატურო გაზეთი

ახალი ქართლი

ფასი: ერთის წლით 5 მან., 6 თვით 3 მან., **სამის** თვით 1 მ. 50 კ., ერთის თვით 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება „ახალი ქართლი“-ს **კანტორაში**, გორი, სამეფო ქ. № 15

სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 10 მაისს,

ქართველ მსახიობთა მიერ ტ. აბაშიძის და მალ. გუნიას მონაწილეობით **წარმოდგენილი** იქნება დიუმას ცნობილი ბიესი

ედმონდ კინი

5 მოქ. თარგმანი ვ. გუნიასი

(წარმოდგენილი იქნება აგრეთვე უკანასკნელი მოქმედება რომელიც ჯერ ქართულ სცენაზე არ დადათგმულა)

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ტ. აბშიძე, მ. ქილარჯიშვილი, მ. გუგოლაშვილი, ა. კვეთელი; ბ-ნნი ვ. გუნია, გ. ბედიგვანშვილი, დ. მგალობლიშვილი, ნ. ცაცეშვილი, პ. ფრანგიშვილი შ. გომელაური, ი. თარალაშვილი, და ს. რომანიშვილი

კინის როლს შეასრულებს ვალ. გუნია

ადგ. ფასი 1 მ-დან 5 კ-დე

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

რეჟისორი ვ. გუნია

კასტა პ. ფრანგიშვილი

№ 23

ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 5 მ., ᲮᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲗ 3 მ., ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 10 კ. ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ „ᲮᲔᲚᲗᲝᲜᲬᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲞᲐᲜ“ᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝᲜᲘ: Тифлисъ Ред.„Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ᲮᲔᲚ-ᲛᲝᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ.—ᲮᲔᲚᲗᲝᲜᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲛᲔᲑᲘᲠ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ.—ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ „ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ—ᲓᲦᲔᲜᲘᲗ 9—2 ᲡᲐᲐᲗᲘ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 5—7 ᲡᲐᲐᲗᲘ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 15-41

№ 23 ᲙᲕᲘᲠᲐ 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1915 Წ.

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲨᲔᲮᲛᲐᲢᲙᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲚᲘᲐ ᲡᲪᲔᲜᲘᲡᲐ.

რაც უნდა უშნო მეთარე იყოს, არასოდეს თარს არ დაუკრავს, თუ ᲘᲛᲔᲑᲘ ერთი მეორეს არ შეუწყოᲬᲢᲑᲘᲚᲘ, აზრიანშინაარსიან ჰანგს ვერ გამოსცემს არავითარი საკრავი, თუ იმისი სახმაურო ნაწილნი ერთი მეორესთან არ არის შეწყობილი.

ასეა ხელოვნების ყოველ დარგში—მუსიკასა, მხატვრობასა, სასცენო ხელოვნებასა და ᲪᲔᲙᲕᲐᲨᲘᲐᲪ.

ჰანგთა, ფერთა და მიმოხვრათა შეხმატკბილება საჭიროა ხელოვნების ყველა იმ დარგში, რომელიც მოქმედებს ადამიანის მხედველობასა და მსმენელობაზე, ხელოვნების ყველა იმ დარგში, რომელიც კი ადამიანის მშვენიერების გრძნობას ასაზრდოვებს ადამიანს სულიერად აღამაღლებს.

სადაც შეხმატკბილება არ არის, იქ ხელოვნებაზე ლაპარაკიც მეტია. ეს ცხადი ᲬᲣᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ, სავალალოდ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ვერ შეუგნია ჩვენი სცენის მსახურთა დიდს უმეტესობას: დაუმუშავებელი ხმა, ყველგან და ყოველთვის ერთნაირი კილო ლაპარაკისა (რა ხასიათის როლსაც უნდა ასრულებდნენ) ერთგვარი მიმოხვრა, ერთნაირი მანერები.

უმეტესად ბოხი, ხრინწიანი, ჩახლეჩილი ლაპარაკი, უხეირო გავლა-გამოვლა, შემკრთალი ბგერა ხმისა, უალაგ-ალაგოს თვალების ᲬᲣᲛᲢᲐ (როლების უცოდინარობის გამო),—აი ნიშანდობილივი თვისება ჩვენი სცენის მომეტებულ მსახურთა.

შეუფერებელი დეკორაციები, უმსგავსი ტანისამოსები, ბუნების მოვლენათა არა ბუნებრივად ჩვენება და მრავალი სხვა,—აი დამახასიათებელი თვისება ჩვენი სცენის ხელმძღვანელთა.

სცენაზე ვხედავთ არა ბუნებრივობას,—სიყალბეს, უხამსობას. და მიტომაც არის, რომ მსახიობი მაყურებელს იშვიათად აღაფრთოვანებს.

ახლა ყოველ მოქმედების შემდეგ მსახიობთა თავდასაკვრელად გამოსვლა, ერთი წუთის წინად „მოკლულის“ გაცოცხლება და „შტრინგად“ წამოდგომა ვაინაჩრობით შექმნილი შთ.ბეჭდილების გასაქარწყლებლად,—აი, „ილიუზია“ ჩვენი სცენის ᲙᲣᲠᲣᲛᲘᲐ.

თეატრი ცხოვრებას რითი ან როდის-ღა უნდა დაუახლოვონ?!

— —

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲦᲘᲓᲘᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ

დიდებული ადამიანები ᲘᲙᲕᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐ და ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲜᲝᲑᲐᲡ.

ერთი ასეთი დიდებულთაგანია საქართველოს წინასწარ-მეტყველი, ჩვენი მოძღვარი აკაკი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ნარეკლიან გზით სამსახური სამშობლოისა არ იკმარა, არც ის იკმარა, რომ მრავალი ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტი დაგვიტოვა, და გარდაცვალების ჟამს გვიანდერძა ერის სიბრძნის შემოქმედების შეკრება.

ერმაც თავისი წინასწარმეტყველ ᲮᲐᲜᲯᲐᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔᲚᲘᲡ ეს ანდერძი მცნებად დაისახა და თავისი მოძღვრის დაბადების დღე, 9 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიურ მოსაგონებელ დღედ აღიარა ანდერძის განსახორციელებელ საშუალებათა გასაძლიერებლად.

ამ დღეს ყოველი ქართველი აზრით უნდა ეზიაროს აკაკის მოძღვრებას და თავისი წვლილიც გაიღოს დიდი მოძღვრის ანდერძის აღსასრულებლად.

საშუბათს, 9 ივნისს, სახაზ-ნო თეატრში გაიმართება აკაკის საღამო.

ასეთივე საღამოები გაიმართება საქართ.-ველოს სხვა და სხვა კუთხეში.

თქმა არ უნდა, საზოგადოება და ხალხი ამ საღამოებს მოწიწებით და გულუხვად დაესწრება, რომ აკაკის სულს ეზიაროს...

სოფელი გვიხმობს!..

ბურუსს მოუცვავს სოფელი,
ფიქრს მისცემია მწარესა,
ქმუნვის დარები დასტყვია
სახესა მოღიმარესა ..
ბუნების შვილი — სოფელი
ნაზი და ხალისიანი —
აღარ ხალისობს კვალადა,
აღარ ჰყვავიან იანი.
აღარ ხასხასებს ვენახი,
ვაზი ძირს გდია უქიგოდ;
საქონელს უპატრონოსა
მუსრი ევლება უჭიროდ;
მინდორი გადახრიკოდა,
ზღვა აღარ ჰღელავს ყანისა;
დღეს ურუგზოდ შესცქერენ,
არც იმედია ხვალისა...
დაცარიელდა სოფელი,
დააკლდა მუშა მშრომელი —
ეს ძალა ბუნებრ-ული,
მომავლის მახარობელი;
და უამათოდ, თითქოსა,
ჩაჰკვდა, ჩანელდა ყოველი —
დიაღ, ამათში ჰფეთქავდა
ზეგარდმო ძალა ცხოველი...

სოფელი ბურუსს მოუცვავს,
და იცრემლება მწარეთა —
უტყვ-მეტყველობით გვიხმობენ:
ჰა, ხალხნო, დაგვეხმარეთა!..

მიხ. ნინოწმინდელი

დასის მოგზაურობა

(არც თუ მთლად
ნამდვილი ამბავი)

I

მოაწია დიდ-მარხვის სუნმა თუ არა, სუფლიორი უკვე შეუდგა სამზადისს საღდმარხვო დასის შედგენისას.

ჯერ ყველიერი არ იყო დაწყებული და სეზონის დასასრულამდე ოთხი თუ ხუთი პესა კიდევა ჰქონდა ქ. ან-ს დასს შესასრულებელი, ფხიანი და მოუსვენარი ვარლამი უკვეთავის ქურქში აღარ იყო.მ.ს იზიდავდა ის სიახლე მომავალი განცდისა, რომელიც ადამიანის გულში, მისდა საბედნიეროთ, არა-სოდეს არა კვდება ხოლმე. ვარლამი ცოტა გატაცებული ადამიანიც იყო და ჰგონებდა: პაწა დასი შესდგება ჩვენ ახალგაზდებისაგან, წავალთ პროვინციაში, შევიტანთ სინათლეს, ვარგებთ სოფელსო!

უფრო პრაქტიკული ამხანაგები აკი დასცინოდნენ კიდეც, რომ ვარლამს ყოველთვის საქმის „იდეური“ მხარე აინტერესებს და კომერციულს ჩრდილავსო. თან ამ „იდეიურობას“ ისეთის დაკინვით იხსენიებდნენ, რომ სხვა, ვარლამის უმისო, ფარ-ხმალს დაჰყრიდა, მაგრამ ჩვენი სუფლიორის ჭკვიან და ცოცხალ თვალებს მხოლოდ ცოტა დარცხვენა დაეტყობოდათ, თითქო ბოდიშს იხდიდენ: — რა ვუყოთ ასეთი გავჩენილვარო! — თორემ გულსა მისსა შინა, არა იყო შიში არა იყო ზაკვა!

მისი ცოტა ჩასქელებული ტანი და მკვრივი, მაგარი ფეხები მეცადინეობაში დასვენების დროს ხან ერთ კულისების კუთხეში მოგოგმანდებოდა და ხან მეორეში.

— ანდრო! გადავწყვიტოთ, კაცო! რა არის, როგორი დაუდევარი კაცი ხარ, ღმერთმანი!

ეუბნებოდა ვარლამი ერთ ახოვან მსახიობს.

— ხომ ხედავ კომიტეტმა გამოგვიცხადა, რომ საზაფხულო სეზონს აღარ იქერს. ჩვენ კი დიდებს თუ უყურეთ, ხომ იცი, არაფერე არ იქნება. უთხარ, კაცო, სოსოს და დაჯერი, რომ წამოვიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეეჰ, რა ვიცი, ვარლამ გენაცვალე?! გუშინ ჩამოვუგდე სოსოს ამის თაობაზე ლაპარაკი, მაგრამ ძალიან შორს დაიჭირა და რა ვქნა?..

— მე მეგონა შენ უფრო დაგიჯერებდა, თორემ თქმით მე უფრო ძლიერად ვეტყვი. აგერ არ არის?

მთაკენ წამოვიდა ერთი შუატანის გამხდარი, პირ-გაპარსული ყმაწვილი კაცი მის გაშლილ და საზოგადოთ მხიარულ სახეს ერთ-გვარი სოფლის ადილი აჩნდა, თითქო ამ კაცს უკვე ბევრი რამ გამოუცდია ცხოვრებაშია.

— რა გინდა, ვარლამ?

— აი, კაცო, უნდა დაგვეხმარო, სოსო. შევადგინოთ პატარა დასი და ამ დიდ მარხვაში ვიმოგზაუროთ.

სოსოს სახეს მეტი ნაღველი დაეტყო

— ჰო, გუშინ მითხრა ანდრომ, მაგრამ მართალი გითხრა ჯერ ვერაფერი მომიფიქრებია ..

— ე ბიჭო, სოსო? კი ნუ გვიღალატებ ახლა! — თავისებური ჰუმორით მ-მართა ვარლამმა.

— კაცო, მე როგორ დაგიღალატებთ, მაგრამ უნდა კარგათ მოვიფიქროთ... ავწონ-დაწონოთ

— ჰო, ჰო, გენაცვა სოსო.

მაგრამ ამ დროს რეჟისორის თანაშემწემ ზარი დარეკა და მსახიობნი სამუშაოდ მიიწოდა.

— სოსო, უჩემოთ არ წახვიდე!.. — მიაძახა ვარლამმა და გასწია თავის მაგიდისაკენ

— კარგი, კარგი! — მიაყოლა სოსომაც.

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდ მეცა დინეობა დასრულდა

თეატრის კარებს გამოეყო სამი ნაქეთი და ეტყობოდათ, რომ „გზა დიდდვეს“ მათთვის კარგა ნაცნობ სარდაფ „ანკარა“-საკენ.

(შემდეგი იქნება)

მგოსანი — დრამატურგი კ. რ.

მ. ი. უ. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე — კ. რ.

(დაბ. 1858 წ. 10 აგვ., გარდ. 2 ივნისს 1915)

ისაც ბოლოს გარდაიცვალა...

ის „ბედისაგან გაძღებულია“, მეფის შოამორჩეული, უმაღლეს წრეში დაბადებული, სრა-სასახლეში ნებიერად აღზრდილი, სამსახურის უმაღლეს ხარისხამდე ასული: იყო თბილ. სავრენადერო ბოდეის უფროსად, სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარედ, დეიბ-გვარდიის გოამნდარად, სამხედრო სასწავლებელთა უფროსად, 1878 წ. რუს-ოსმალთა ომშიაც მონაწილეობდა...

მაგრამ იგი ჩვენთვის ამითი არ არის ნეტარმოსაგონებელი, არამედ მითი, რომ ამ „ბედისაგან გაძღებულმა“ ბეგერჯელ ომიერა ბედკრულთა მწარე ბინგები, გამოხატა მტკრგალთაგან განაწამებ მებრძოლთა სულისკვეთება, შეგვქმნა მრავალი ძვირფასი დეკანი, რამდენიმე ბიესა — „მეფე სიუდი“, „ბებსტეანი წამებული“ უკანასკნელად ახალ ეთიოპიაზე დაწერილი „მეფეთ ურიათა“ (ქართულად განსაკუთრებულ კ. მესხის მიერ თარგმნილი, რომელიც ნაწილიც გასულ წლის „თეატრი და ცხოვრებაში“ დაბეჭდა) და მუდამ სულდგმულების მოყვარული იყო .. ბოდო ხანებში ფიქრობდა თამარ მეფის ცხოვრებიდან ბიესის დაწერვას, მაგრამ მასსწრო თუ არა — ჯერ არაფერი უწეთ...

სასულიერო ამ „ბედით გაძღებულისა“ კონსტანტინეს, დიდი მთავარი, მწერლობაში კ. რ. სახელით ცნობილი

ეს „ბედი კალდებული“ ბედმა სასტიკად დასჯა: ომის დაწყებისას ბრძოლის ველზე მოუყვეს შვიდი ოდეები, სულ რაშდენიმე დღეა რაც მცხეთის ტაძარში სამარეს მიაბარეს მისი სიძე, კ. მუხრან-ბატონი, ჯერ კიდევ ჭაბუკი, ბრძოლის ველზე მოკვდა, და ეგერ მასაც სიცოცხლე მოესპო...

არა ცის ქვეშეთ „ბედით გალალებული“ არა ყ ფილა!..

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი! .

იოს_ბ არიმათიელი

პასტარა მოგონება დიდს გგოსანზე

ოთხმოციან წლების დასაწყისში „დროების“ რედაქცია მუხრან-ბატონის სახლებში იყო მოთავსებული, სასახლის ქუჩაზე.

ავადმყოფობის გამო ჩემმა ძმამ სერგეიმ გაზეთის პატრონობა ჩავიბარა: ალ. ყაზბეგს. მოჩხუბარიძეს, სტ. ჯელაშვილს, ილ. ბახტაძეს, დავ. კეზელს (სოსლანს) და მე. იმ ხანად ჩვენი წარჩინებული მწერალნიც მოგვხედავდენ ხოლმე, ერთად ერთი ქართული გაზეთის მოკირახულეთ და იმ მცირე დროს, სანამ გაზეთს ვუძღოდით, ვცანით და დავრწმუნდით, გამოვცადეთ, რა ჯაფაცა და შრომაც უნდა ჰქონოდა სერგ. მესხო, როცა თოთხმეტი წლის განმავლობაში ამ საქმეს თითქმის მარტოდ მარტო უვლიდა.

მაშინ თავის დიდს მოწყალებას აკაკიც არ გვაკლებდა. ხშირად შემოვიდოდა რედაქციაში და გაზეთისთვის მარგალიტ მასალებს გვაწვდიდა თავის თავად ცხადია, რა აღდგომაც იქნებოდა ხოლმე ჩვენთვის აკაკის წვევა. ყველა გაფაციცებით ველოდით, როცა ხელს გულჯიბისკენ წაიღებდა გაზეთის დამამშვენებელი ნაწერის ამ-საღებად ასეთ დროს საერთო სიხარული ყველას შეგვიპყრობდა და ვამაყობდით:—ხვალ აკაკი იენება გაზეთში!... ამ სიხარულს ყველას ვუზიარებდით.

იმ ხანებში აკაკი ბინად ელისაბედ მარჯანიშვილის ქვრივისას იდგა, ვერაზე, არ მაგონდება, ვის სახლში. ამ ოჯახთან მგოსანს კარგი შეგობრული განწყობილება ჰქონდა.

ერთ დღეს რედაქციაში ჩვეულებრივ მოგვეველინა აკაკი. წვიმიანი დღე იყო და მგოსანი უკალოშოდ, გახუნებული სერთუკით, უპალტოოდ იყო. როგორღაც დაღვრემილი დაჯდა. შეეწუხდით, რადგან, როცა საგაზეთო რამ მასალა გვეგულებოდა მგოსანს მადლიან გულჯიბაში, სულ სხვა იყო გუნება მისი და სახის მეტყველებაც. პირადთ მე ეგ კარგად მქონდა შესწავლილი: როცა აკაკი მხიარულად, სახეზე ღვთიური ღიმილითა და თავისებური ღიღინით შემოვიდოდა, შემეძლო სანაძლეო დამედო, რომ მგოსანს რაღაც დაუწერია, თანა აქვს და მზად ვიყავი იერიშისთვის... ახლა კი... ცუდ გუნებაზე დავდგეთ, გაგვიცრუვდა იმედი.

— აკაკი... არაფერია...?—დავეკითხე.

— არაფერი!—მკვახედ სთქვა მგოსანმა — არა, თქვე ოხრებო, რომ ითხოვთ და ითხოვთ სულ, ეს ფეხის ქირა მაინც მომეცით. იმ სიშორიდან ამ ამინდში ფეხით მოვძულძულდი და და აგერ კიდევ შემოსავალში თქვენმა მეხილემ წალაზე წყალობა მიბოძა ცხვირიდან.

გავიცინეთ. მგოსანი დაღვრემით იჯდა...

— აკაკი, გეკადრება შენ, რომ ერთი სიტყვა არ გითქვამს არაბი-ფაშაზე?—ვეუბხარი მგოსანს.

აბაშეთის გმირი-სარდალი — არაბი-ფაშა იმ ხანებში თავის მამულის დამოუკიდებლობისთვის თავ-გამეტებით იბრძოდა.

— არაბი-ფაშა... ჰო, — სთქვა მგოსანმა. მცირე ხანს თავი ჩაჰკიდა, შემდეგ თვალებ გაბრწყინებული, ღიღინით წამოდგა, „მისი ღიმილი“ სახეზე დაეკრთო და წავიდა...

მეორე დღეს შემოვიდა. ახლა კი ვიგრძენით ყველამ, რომ ხელცარიელი არ იყო მოსული,.. თან მოიტანა საუცხოვო ლექსი —„არაბი-ფაშა“.

„გაბრიჯვდა არაბი-ფაშა,
უბედური და მზე ბნელი!
ნეტავ, ვის ეურჩებოდა,
თავისუფლების მძებნელი..“ და სხვ.

წაგვიკითხა. რედაქციაში იყვნენ, სხვათა შორის, როგორც მაგონდება: პეტრე უმიკაშვილი, ალ. ყაზბეგი, დ. კეზელი და სერგ. ბახტაძე. ყველა აღტაცებაში მოვედით. დაასრულა კითხვა თუ არა, მივვარდი, მაგრამ ლექსი ხელად ჯიბისკენ გაიქანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აკაკი, შენი ჭირიმე, რას შვრები!? დაველოდეთ. ხვალვე დავბეჭდავთ.

— მაგის იმედი კი მაქვს, თუ მოგართვით მუქთად.

— ღმერთი არ გამიწყრეს, მანათის მეტი არ მქონდეს და—ეჰა! გავუწოდე მანათიანი.

— მოიტა, შვილო, მანათიც ფულია... და სანამ არ ჩამომართვა, ლექსიც არ მანდო. შეჩვეული იყო ჩემგან მტაცებლობას.

— აკაკის ბიოგრაფმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ერთად ერთმა ქართული გაზეთის რედაქციამ მანათად იყიდა მისგან ლექსიო— სთქვა პეტრე უმაკაშვილმა.

— ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მანათი მისცა დიდს მგოსანს, როგორც თქვენ მეძახით, ისეთს ლექსში, როგორიც „არაბიფაშაა,“ – დასძინა აკაკიმ.



დაბა-სოფლის მოღვაწენი

პროვინციის დამსახურებული სცენის მოყვარე და მწერალი
ნიკ. ი. ხიხარულიძე (ნიკო გურული)

უნგარო მუშაკნი რომ ესაჭიროებიან, ჩვენს უპატრონოდ მიტოვებულ დაბა-სოფლებს, ეს ხომ ცხადი ჭეშმარიტებაა. პროვინციაა თავის სუდიერ ცხოვრებით ი უ ქვეყნის გულს არ დაუკავშირდა, ისეთისი წინსვლა წარმოდგენილია. თეატრი და მწერლობა, ეი ორი მთავარი ძალა, ხალხის წინ წამწევი, რომლის გაჯერებელებს დაბა-სოფლად საჭიროა. და რამდენადაც უფრო მუდამთა მუშაკნი გვეყოფებიან ამ ასპარეზზე, იმდენად ნაყოფიერი იქნება თეატრისა და მწერლობის მოდგაწეობა. სამწადნეიროდ დაბა-სოფლებში თანდათან მრავლდებიან ხალხის წინსვლის თავდადებული მუშაკნი. ერთი მთავარი ნიაა ნიკოდაზ ავანეს ძე ხიხარულიძე, ნიკო გურულის სახელით ცნობილი, რომელიც 1894 წ. გამოვიდა სოფლ-სტრ-სამწერლო ასპარეზზე და მას შემდეგ შეუჩერებლივ, ფხიზლად ემსახურება ორივე ამ საქმეს. 20 წლის განმავლობაში იგი თავგამოდებით ემსახურებოდა ბროვინციის სცენასა სხვა და სხვა ადგილებში და სათეატრო ხელოვნების ხალხში გავრცელებას ხელს უწყობდა. კარგა სცენისა ჩვენს მწერლობაშიც თავდასხმინა მონაწილეობას დებულობდა და ლდასაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების თანაშრომელია. ქართველში არ არის ისეთი კულტურული საქმე, სადაც ნიკო ხიხარულიძე არ იღებდეს შესაფერ მონაწილეობას ამ ტრამაც ხაშურის ქარ. დრ. წრის კამეგამის, ასოციაციებისა და სცენის მოყვარეთ კავალსწყვეტელ, 6 ოვნისს მისი ოცი წლის მოდგაწეობის შესრულების ადასანიშნავად საადელსაწყოდ წარმოდგენის კამართავ.

ვესურვებთ, ჩვენ ულებრივის ხალისით გაკეთრძოს ბროვინციის სცენის მოყვარის და მწერლობის მძიმე ასპარეზზე მუშაობა.

ი—ელი

გ ა ხ ტ რ ი ო ნ ი

პოემა ვაჟა ფშაველასი

(კრიტიკული ესკიზი)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 22)

ახრებული, აწიოკებული სამშობლოს ჭირსუფლად რჩებოდა სქართველოში მდელრობითი სქესი ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების მძიმე პირობათა მეოხებით შემუშავდა ქართველ ქვრივის ტიპი. მამაკაცი ომში ეო კარეული, ხოდა მოელი შინაური საქმე, სოფლისა მუშობა, ხვნა-თესვა, ჯარისხელის მოწევა ქალებს ჭკონდა დაკისრებული. ამ კარეშოებამ შეამუშავა ქართველ ქალის ხასიათის სიმტკიცე. ამის მეოხებით ჩვენს ისტორიაში გაქმულია მხნეობა, სიმამაცე, სიბეჯითე. გამბედობა ქართველ ქალისა. ოთარაანთ ქვრივი და მამადა ასმათი—ორივე ქართული ტიპებია, ორივე ადმოცენებული და კაზრდილი ქართულ ნიადაგზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება დაკვირდაო სანთოს, დრმად მოხუ-
ცებულს ფშაველს დედაკაცს, რომლის თვალსუ
ა რ შრებოდა ტრუმდი, ეს ერთად ერთი ნუგეში
ბედის მიერ დაჩაგრულისა .. ფშაველში ომანობის
გამო შემცირდა კაცთა რიცხვი. ზოგიერთი სოფე-
ლი მარტო ქალების ამარა და დარჩა. ფშაველ-
თა ზოგიერთ სადოცავების წინაშე მდოცველი
მამაკაცი ადარ სჩანდა... ერთის ადგილს, — ობ-
ლად დარჩენილს სადოცავში კამოცსადა ჩვეუ
ლების წინააღმდეგ მხოლოდ სანთოა, რომელიც
ძალიან დადიდა ის

„ჯოხზე დაეყრდნო
ხანხალით, ძალის ძალითა.

და ეს დრმად მოხუცებული სტარიდა თვისი
სოფლელების, ხოშარელთ შაგბედის წერასა..
მამაკაცი არ მოჩანს. მას

„მარტო აუნთავ სანთლები
და ხატიც უდიდებია;
მარტო დაუკლავ საკლავი,
თითონვე უტყავებია;
მარტოდ-მარტოკა დიაცსა
ხატ-ღმერთი უდიდებია..

სანთოა შეგდრი ეფო ხოშარისა, რომლის
მამაკაცები სამშობლო მტერთან ომში გაწყდნენ.
ი ამატომ სანთოა ეუბნება კეთრისს:

„დავკარგე ყველი თვის ტომი,
ვინაც კი მყავნდა თავისა.
მამრთა შეაკლეს მტერს თავი.
ხსენება გასწყდა კაცისა.
ვინც დავრჩით ცოცხლად დიაცნი,
დახოცილებსა ვსტირითა."

მოედი დრამატრიალების ხოშარედთა ოჯახებ-
ში. ისმის იქ კამუდგებული ტირადი ბადდებისა

„ჩვენ რო ვგნახამენ მტირალთა,
ბალღებიც ატირდებიან;
ბლოვის მიზეზსა გვკითხავენ,
დიდებს რო გვაკვირდებიან.
არ მიიღებენ პასუხსა
და უფრო აყვირდებიან."

მოხუცებულს სანთოს ის უოუქვდა ბუღს
რომ დაჭკარგა ქმარი და შვიდი ერთს,
ბედსა მტერთან ბრძოდაში.

„შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
თითო ლომისა დარია.
შვიდივ გამიწყდა ერთს დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია.
ხოშარის ბორზე დავმარხე
თავზე დასტირის ქარია.
ორ კვირას საფლავებ ვსთხარე,
იმათ თავშესაფარია .."

ამ უბედურების მიუხედავად ჭირში ბასდა-
ლვებული სანთოა დაბეჯითებით ამბობს:

„უკაცურთ კაცობა გვმართებს,
მანამ სულ გვიდგა პირშია..

რადგან სოჯარეში, სადოცავის წინაშე, ბედა-
კაცის მიერ საკვლავის დაკვლა და მამაკაცის
რიდის შესრულება ადგრძალული იყო მოედთა
შორის, — სანთოა დარწმუნებულია, რომ უკაცო-
ბის გამო

„ხატიც შეუნდობს ცოდვასა,
რო ნახავს გასაპირშია .."

სადოცავად წასვლას ბაბდგინეს სარწმუნოე-
ბის ზედგადგენის ქვეშ შემუშავებული დოცვის
წეს-რიგის შესრულების ძალიერ წუგეადი. ამ
წეს-რიგის შეუსრულებლობა მიაჩნია დიდ ცოდ-
ვად რადგან მამაკაცები ადარ არიან, მაშ სანთ-
ოს ჰკითხეთ,

„ვინ ემსახუროს ხატსა?
მაშ ვინ აუნთოს სანთელი?
მაშ ვინ დაგვიკლას საკლავი?
ვინ მოაკმიოს საკმელი?

ხოშარედი ქერიეი სანთოს გაცნობა ვაჟა-
ფშაველას ბოემის სიუჟეტებით მეტად დრმა,
ურუფდელს შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველდ-
ზე.. სიქართველის ისტორიული ცხოვრების
ეტაპად თუ ბეგრად დაკვირვებული მცოდნე ქარ-
თველის კამოსახულების ნაკუს მისი გაცნობით
თვალთ წინ წარმოუდგება სანთოს მსგავსად
მტირალი, წელში მოხრილი, ხანხალით მოსია-
რულე. თვის შვიდთა მუდამ მგდოვი, მრავალ
ტანჯული სიქართველო. სანთოა ბოეტური სიმ-
ბოლოა წამებულის სიქართველოსი. მოედი თ-
ვისი მრავალსუგუნოვანი სიცოცხლის განმავ-
ლობაში სიქართველის უფრო მეტი დრო გდო-
ვსა და ტირადში უტარებია... მისი დომ-
ბეულნი შვიდნი ბრძოდის ველზე ადამენდნენ
და ათენებდნენ. თითოეულს მათგანს ვაჟა-ფშა-
ველას ზეზვის მსგავსად შეეძლო ეთქვა თ-
ვის თავზე

„სულ ლაშქარსა ვარ, რაც კია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუძუს მომსხლიტა დედამ.“

მაგრამ მტირალი სალქართველოს ნუგეშად შეგვიძლია ჩვენთვალოთ ის კრებულები, რომ მას, შავბედის მიერ გულგასტეხილს, მტერთა დამარცხების მონსტრულს, ეზრდება ახალგაზრდა ასული დედა, რომელსაც მემკვიდრეობით გადასცემია დედისგან სამშობლოს გულწრფელი შეგნებული სიყვარული : დედა ასულია მომავალი, ახალი სალქართველოსი... ის კი არაა მიმავალი სახლის ჯარქვეშ, დროს კი არ ატარებს ჩაცმა-დახურვაში, ბრანჯვა-ვრეხაში სარკის წინაშე, კი არ სტდიობს თვისი კარეგნობით, ჩქარაწარმავალი ჯნიობაცა სიდამზეთ მოხიბლოს მამაკაცის გული, მოელის თვისის ტხოვნელი არსებით კაბსჯვალდეა საქმიანობის სიყვარულით... გატეტებული სამშობლოს მხურვალე სიყვარულით მოიელი ქალი ლელა თვის ავადმყოფს, სარეტელზე მწოლს, მამას კი სტოვებს და სურს მამაკაცებთან ერთად წავიდეს შტრებთან სალომრად... მეტად კაკვირდა დაშქარი, რადესაც

„თამამად, ვაჟკაცურად,
თავს წამოიდგა ქალია ..
ცხენს იჯდა მამაცურად,
წელს თუმც არ ერტყა ხმალია.
ხელთ ეპყრა შუბი წვერ-მახვი,
მამისგან მონაპარია;

დედა მოგვაგონებს თვისი თავგანწირულებით ებრალულების იგდოს... ის პირდაპირ ეუბნება დაშქარს, რომ მას მტრებთან ომი სწადიან:

„მინდა რო ჯავრი ვიყარო,
ბევრს რამ აეს საქმეს სჩადიან:
იკლებენ საქართველოსა,
ბუმბერაზობით დადიან.
ხმლის ქნევით ვერ გაგაკვირებთ,
ფარშუბის დაგელვებითა,
მაგრამ ჩემს საცდელს მაინცა
ვეცდები გამგელებითა.

მას ამოძრავებს დიადი გრძნობა შურის ძიებისა, მტრისთვის სამაგიეროს კადახდასა... იქ, ბახტრიონის ციხეში, დატყვევებულია მისი დედაძი დედაც... მტრებს მართებს ამას კარა—მისი ძმების სისხლიც... დედა დაბეჯითებით კაიძახის:

„სისხლის აღება, ხომ იცით,
მუდამ წესი და რიგია...
ან უნდა მტრისა ხმლითა მოვკვდე,
მე თავი გადამიდვია“

მაგრამ დაშქარმა არ ინება დედას თან წაყვანა ბრძოლაში... ის უარფოფადი მას მიერ, ტრემდის დგრით კაბრუნდა უკან... მისი გულის მწუხარებს თითქოს თვით ბუნებაც თანხუგრძნობდა. .

„ქალის ქვითინსა მდუღარეს
მთანი იწერენ მკერდზედა;
ცრემლით ატირდნენ წყარონი,
ჩამომდინარნი გვერდზედა!“

ამის და მაუხედავად, როგორც უკვე ვიცით, დედამ შეასრულა პირნათლად თავისი სიტყვა და თავი შესწირა სამშობლოს კეთილისთვის ერთად თვით ბახტრიონის ციხის შიგნით. კასაბა. ცარია საქართველოს ისტორიული სვე-ბედი... არ მოიძებნება დედამიწის ზურგზე სხვა ერი, რომ იმდენი ეტანჯოს, რამდენიც ტანჯულა ქართველი.. რამდენი ქართველებზე უფრო ძველი ერი ადგავა დედამიწის ზურგიდან.. ქართველი ერი კი დღესაც ერობს, დღესაც თავისებური ერია... მძიმე ისტორიულ კარეგმოებთა შორის უსდეიდა ქართველს ერს ცხოვრება,.. ტეტხლი ედებოდა მის არსებობას. ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი და ნიავ-დგარი თან ახდდა მის ცხოვრებას, მაგრამ, ბოეტის არ ეთოს,

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა:
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა..

ხალხის კეთილსახულებამ ქართველი ერის არსებობის უმაკვალითო, არა ჩვეულებრივი დაცვა იმ დროს, რადესაც ასეთი დაცვა ეთნების მიერ თითქმის წარმოუდგენელია, მაგრა ციურს ძალას, ციურს მფარველობას... ცეური ძალა ხალხის ჭკვრით, წინ უძღვის ქართველს ერს ბრძოლის ველს და ანიჭებს ძალას.

ილ. ფერაძე

(დასასრული იქნება)

† მ. ი. უ. დიდი მთავარი კონსტანტინე
კონსტანტინეს ძე — კ. რ.

მისივე პიესის „მეუფე ურიათა“-ს გმირის
ოსეს არიმათიელის როლში.

იგი ოდეს!..

(ლექსი პროზაში)

I

— ნუ ტირი დედა... ნურც შენ, ბერიკაცო?.. თვალებზე ცრემლი არ დამანახო...

— არ ვტირი შვილო... არ... ვტირი.. გფარავდეს ღმერთი... გფარავდეს ზენა...

— მშვიდობით დედა... მშვიდობით მამა...

...გაქრა მეეტლე და ლადიკოც თან წარიტაცა ..

* * *

დრო გადიოდა. წერილი არ ჩნდა ლადიკოსაგან.

„პეტრიეს ბიჭი ტყვედ წაიყვანეს... პავლე დასჭრეს... გოგია მოჰკლეს გერმანელებმა, ლადიკო არ ჩანს, მე ცოცხალი ვარ“—იწერებოდა მეზობლის კოტე.

— ვაიმე შვილო... სადა ხარ, შვილო .. თუ აღარ მყავხარ... ან ეხლა კვდები ბრძოლისა ველზე და მე მეძახი!.. ან თუ მკვდარი ხარ და მგლის ხროვა ძღება შენი ხორცით...

— გულს ეხოკდა ქვრივი მარინე, დიაღ ის ოკვე დაქვრივებული იყო: ქმარი უცებ მოვარდნილმა წყალმა დაუხრჩო ყანისა მკაზე, რადგან ერთად ერთი მშვენელი შვილიკი გვერდზედ არ ჰყავდა

მისი ლადიკო გერმანელებთან ბრძოლაში ბრძოლვინავდა: ერთს ხელი მოსჭრა, მეორეს ყური ჩამოთალა... მესამეც სურდა შუაზე გაეპო, მაგრამ გაშმაგებული მტერი მძლავრად ეტაკა და მიწაზე დასცა. ის იყო კიდეც დაახრჩობდა, რომ იმის ბედზე გერმანელისთვის ხმალს თავი არ წაეძრო. ლადიკო მტრისა სისხლში შეცურდა, ხოლო მკვდრის ხელი კი მას შეაცივდა და ძლივს მოიშორა... ყორეა გაუტყდა... ცოტა ხნის შემდეგ ზეხე წამოდგა, მაგრამ ვერ შესძლო და მკვდართა გორას მიესვენა. ითხოვდა შველას, მაგრამ მშველელი არავინ იყო...

ვინ ვის ებრძოდა და გულს უამირავდა... ტყვია ზუზუნით მოჰქროდა ტრიალ მ ნდორზე: ვის მკერდს ეპობდა, ვს შუბლს უხვრეტდა, ხელ ფეხს უმსხვრევდა... ისმოდა გმინვა საზარელი, გულის მომკვლელი... ვინ ვის ლანძღავდა სხვა და სხვა ენით: ქართველი ნემეკს... ნემეცი კაზაკს...

აი, იქ, მიმა „ჰკა მაგასაო“ დაიღრიალა რუსების ჯარმა და გერმანელი ხიშტების წვეით მაღლა ასწიეს .. მაგრამ მამაც, მტერი, ხიშტზე აცმული მაინც, იბრძოდა: ხმალსა იქნევდა თავ-განწირული...

აეგო მთა დაკრილ-მკვდრებისა...

დაღამდა, შეწყდა სისხლისა ღვრა. გადარჩენილთ თავს უშველეს, და დასასვენებლად მომოიფანტნენ...

ბადრმა მთვარემ გამოაჩინა ბრძოლის შედეგი.

ვის თავი ჰქონდა გაჩეხილი, გულადმა იწვა... ვინ უხელფეხოდ ეგდო მკვდრებისა გუნდში და საზარელი ხმით დედას ეძახდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მას დავეძებ

(გ. ჭუჩიშვილს)

მე სულაც არ მსურს ოქრო-ვერცხლით ვიყო მდიდარი
და იმის გამო გარს მეხვიოს ზღვა მეგობარი.
არა, არც ის მსურს დიბა-სტავრით ვიყო მორთული,
რომ მით მოვხიბლო, დავიმონო ლამაზთა გული.
ეს ყველაფერი ფუჭი არის და წარმავალი,
მათი მსგავსია მათ მაძებრის უძღები თვალი.
მე მას დავეძებ, რაც რომ არის წმიდა უკვდავი...
დიდება იმას, ვინც ამ გზაზე დადგას თვის თავი.

მ. ველისციხელი

აი, რაღა ვარ!..

„მიშველე დედა!.. დეედა... მიშველე...“ ვინ ცოლსა და შვილებს ახსენებდა... ეთხოვებოდა: „მშვიდობ'ით, ჩემო საყვარელებო შოთა და თინა... მშვიდობით მარო... ვეღარ მნახავ... ვახმე, სად ვკვდები!..“ ქართველი, რუსი, გერმანელი, მოყვარე, მტერი ერთმანეთში არეულიყო... ერთმანეთსა გულში ჩაკვროდნენ და ისე კვდებოდნენ.

პირბადრმა მთვარემ ლიდხანს უცქირა საზარელსა სანახაობას! ვერცხლებრ კაშკაშამ გადახედა თითოეულ ვაჟკაცს და თითქოს კითხა: — „რათ ჰკლავთ ერთმანეთს, რა დაგიშავთ?! “პასუხის ნიშნად დაჭრილები თავსა აქნევდნენ;„ არ ვიცითო« თითქოს ამას ეუბნებოდნენ... მთვარე განრისხდა ამ პასუხით, შერცხვა მათ მაგიერ და თეთრს ლეჩაქში გაეხვია.

II

სოფელიც წუხდა.

ბრძოლისა ველი ჯერ აქ არ იყო, მაგრამ მტრის მოლოდინში აქაც კი იყვნენ:

შიმშილ-სიცივე, კვნესა, გოდება და მწუხარება აქაც მეფობდა...

ვინ შვილს ტიროდა... ვინ ქმარს, ან და ძმასა... ხალხი ბედშავი, ხალხი მწუხარე, ნელნელა შავით იმოსებოდა...

ზოგი დაჭრილი, უფეხ-უხელო, ზოგიც მსუბუქად—შინ მოსულიყო: გადარჩენოდა მტრის ტყვეობის სიკვდილს.

ორვინ იცოდა სად იყო ლადო, მარინეს შვილი...

დედა ტიროდა... მდუღარე ცრემლით შვილსა იგლოვდა, თუმცა იმედი შვილისა მოსვლის ჯერ კიდევ ჰქონდა, უძილო ღამეს ატარებდა, ღმერთს შეჰღაღადებდ.:

— მიწის წამყრელი ერთი მყა ს შვი-

კორენტი ევ. სოლ აფხაზავა

ჯუმათელი, ავსტრიის საზღვარზე გმირობის გამოჩენისთვის მრავლად დაჯილდოვებული. ოთხჯერ დაჭრილია.

ლი... ნუ წამართმევ, მომგვარე. დამჭკნარ სახეზე ცრემლი სდიოდა, მაგრამ შვილი არ მოდიოდა.

შემოდგომისა ცივი ქარი მარინეს კარებს ეხეთქებოდა, დაჭრილ მხეცივით ღრიალებდა, არ ისვენებდა, ფოთლებს აყრიდა.

ერთ დღეს ვიღაცამ შვილის მოსვლა ახარა დედას:—ბიძასთან გამოიარა და ხვალ შენთან მოვალ.

იმ ღამეს სულ არ ეძინა გახარებულ დედას. მეორე დღის შუადღე გადვიდა, ლადო კი არ სჩანდა. მარინე მაზლთან გადავიდა. ლადიკო დედას გზაში ასცდა. .

— რაღას მატყუებთ, თუ არ მოსულა,.. მითხარით ჩქარა..

შესძახა სასოწარკვეთილებით დედამ. შვილის შინ წასვლა არ დაიჯერა. ძლივს დაარწმუნეს. ახლა სახლში გაბრუნდა, მაგრამ ლადიკო არც იქ დაუხვდა: მამის სიკვდილის ამბით თავზარდაცემული ლადიკო მეზობლის ქალსა შინ წაეყვანა.

— „ჰაშ მატყუებენ!.. აღარც სახლშია,.. იგი ომშია!.. ომშია... ომში“... შეჰკივლა დედამ და გულსაკლავად გადიხარხარა..

— აგერ ვარ დედა... შესძახა ლადომ და ჯვარ-მენდლეთით დამშვენებული გულმკერდი, საყვარელ დედას მიუშვირა, რომ ჩაკროდა, მაგრამ ამაოდ...

— შორს ჩემგან... ვიღაცა ხარ... ვერ მომატყუებ... ხა...ხა...ხა...ხა... ჩემი შვილი ომშია,ომში!კვლად შეჰკივლა მშობელმადედამ.

— ოხ, ღმერთო!..—ერთი ხარივით დაიბღავლა ლადომ და ჩაიკეცა.

მარინემ კი მის დანახვაზე კვლავ უაზროდ გადიხარხარა და მეზობლებს გასჩურჩულა:

— შვილი ჩემი ომშია, ომშ !..

ს. რემონიძე

მწირ-სარდალი

(გაგრძელება. იხ. „თ და ც.“№ 22)

ერისთავი (ხელს მოჭიდებს შადგას .და გრძნობით) შვილო, რა გინდა?..

შალვა (ერისთავს) ახლავე, მამა!..

(მედროშეს) ვერ აირჩიეთ, კიდევ სარდალი? .

მედროშე ვერა, ბატონო! თუმცა
ყველასა
ჩვენ შორის უკრის, ვით ვაჟკაცს, ხმალი;
მაგრამ სარდლისთვის ეს არა კმარა
და ჩვენც ვერავის ვხედავთ მისთანას,
რომ უწინამძღვროს დღეს ომში ჯარსა
და მოევლინოს მხსნელად ქვეყანას!..

შალვა მაშ, მე გიჩვენებთ თვით
განგებისგან
ჩვენი ჯარისთვის სარდლად არჩეულს,—
ეაბუკს, დიდებულ გმირთ შთამომავალს,
დღემდის მკვდარს ჩვენთვის, დღეს
გაცოცხლებულს!..

(მცირე დუმილის შემდეგ) ალბად, შენ
კარგად გემახსოვრება
დიდი სარდალი, გმირი ოთარი,
ამ თხუთმეტის წლის წინად ბრძოლის დროს
სახელოვანის სიკვდილით მკვდარი,
მასთანვე ერთად რომ დაიხოცნენ
შვილებიც: ვახტანგ და ელიზბარი?..

მედროშე (თანხმობის ნიშნად თავს დახრის)
დიაღ, ბატონო!
ხომ იცი, ოთარს
ჰყავდა მესამე შვილიც პატარა?

მედროშე როგორ არ ვიცი?..

შალვა საწყალმა დედამ,
სიკვდილისაგან რომ დაეფარა,
მაშინვე თურმე წმიდა გიორგის
მოწამლტრის კედლებს ის შეაფარა!

(მედროშეს თანდათან სახე უბრწყინდება)
ალბად, უნდოდა, რომ, ცხოვრებასა
მოშორებული გამოზრდილიყო:
დავიწყებოდა სოფელ-ქვეყანა;
ჯერ მწირ-მორჩილად იქ ყოფილიყო
და შემდეგ, როცა გაიზრდებოდა,
მაშინვე ბერად აღკვეცილიყო
მაგრამ თავისს ხვედრს ვერვინ წასვლია
და ვერ წაუვა შვილიც ოთარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვერ დარჩება დღეს მონასტერში,
როცა ქვეყნისთვის საჭირო არის!..
ეს არის ახლა ბურანში მყოფსა,
წმიდა გიორგი გამომეცხადა
და მიმითითა მაზე და მითხრა:
„ჰა რჩეულიო თქვენთვის სარდლადა ..“

მედროშე (ადტაცებით) ეს ის მწირია,
ალბად, ბატონო,
აი, იმ დღეს რომ ჯარი მოგვყავდა
და მაშინ ვნახეთ; მივხვდით კიდევაც
რომ ჩვეულებრივ მწირსა არ ჰგავდა!..

შალვა იგია სწორედ!

მედროშე როგორ ეტყობა
გმირ წინაპართა შთამომავლობა
და, თუ არა მას, დიდ ოთარის შვილს,
მაშ, ვის შეჰფერის ეხლა სარდლობა?..
ის ტაბუკია, მაგრამ გმირთ შვილი,
თვითონაც გმირად დაბადებული
და მთელი ჯარიც იმის სარდლობას
მიეგებება ალტაცებული,—
დარწმუნებული, რომ გამარჯვებას
ის მოუპოვებს, ღვთისგან რჩეული!

შალვა (ადტაცებით) და რწმენა ხომ
თვით მთასაც შესძრავსო!
წადი, ახლავე ახარე ჯარსა,
რომ უგზავნის თვით წმიდა გიორგი
ღირსეულ სარდალს და წინამძღვარსა! .

(მეედროშე თავს დაუკრავს და მიდის. შალვა ერისთავს) შენდა ნინო-კიმ მონასტერში
უნდა წახვიდეთ, მამა, ახლავე;
აცნობეთ გიენი, რაც ბედი ერგო
და მოიყვანოთ ამალამევე,
რომ ხვალ კიდევაც გაუძღვეს ჯარსა
და მოუპოოს მას გამარჯვება!
ვგრძნობ, დათვლილია ჩემი წუთები
და ჩემი პირით ამბობს განგება,
რომ მამულს მხსნელად მტარვალთ
ხელიდან
მწირი სარდალი დღეს ევლინება! .

(მოისმის კარეულ ჯარის მხიარული კიჟინი. შალვა გახარებული)

აბა, გაალეთ მალე სარკმელი!

(მანანა ადგებს სარკმელს. ხმაურობა უფრო ძლიერდება)

ხმა (კარეულ) გაუმარჯოს მწირს,
სარდლად რჩეულსა!..

(მოისმის ჯარის ალტაცებული კიჟინი: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..“)

შალვა (სახე გაბრწყინვებული)
ხმა ერის—ხმა ღვთის! რა დაუდგება
წინ ჯარს, ამგვარად აღფრთოვნებულსა?..
ოჰ, ნეტავი თქვენ: კვლავ ნახავთ
მამულს,
დიდებით მოსილს, გამარჯვებულსა!..

(ხედავს ადაბურობს)

გმადლობ შენ, ღმერთო, რომ
შემიძლიან,
ტკბილ იმედითა დავხუჭო თვალი
და ვინუგეშო, კვლავ ღირს პატრონის
ხელში გადავა ეს ჩემი ხმალი!..

(აიდებს იქვე მიუდებულ ხმალს და ერისთავს)

ჰა, გადაეცი და მოუყვანე
ჯარს, ღვთივ ნაკურთხი, მალე
სარდალი!..

(ერისთავი გაშორდება ხმალს)

ნუ იგვიანებთ,—მსურს სიკვდილის წინ,
უკვე რომ ვხედავ მოახლოებულს,
მე თვით დავლოცო დიად საქმისთვის!..

(ერისთავი შუადღეზე აკოცებს შალვას და ადგება. ნინო აკრედვე აკოცებს შალვას და ხელს მოჭიდებს ერისთავს)

ხმა (კარეულ) ვაშა მწირ-სარდალს,
ღვთივ მოწოდებულს!..

(ერისთავი და ნინო მიდიან. კვლავ მოისმის ჯარის ალტაცებული კიჟინი: „ვაშა, ვაშა!..“ „გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..“ და შალვატ, ნეტარებით ადგსილი, უსმენს ამ კიჟინს)

ფარდა



(გაგრძელება იქნება)

ქართული სცენის ქურუმნი

მსახიობი ალ. იმედაშვილი

ახალგაზრდა მსახიობთა შორის დიდი უურადღების დირსია ალ. იმედაშვილი. ამ მსახიობის უტეუარ სასცენო ნაჯში ეკვი არასოდეს შეგვიტანია, ხოდო მისი ნაჯი რომ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლებულია წრთვნა—კანონთარებასა და არა აქვს კაკადილი რეგანი სკოლა, ესეც, ჩვენის აზრით, ეკვა-კარეშეა. ეს ითქმის არა მარტო ალ. ამედაშვილზე, არამედ ყველა ჩვენს ახალგაზრდა მსახიობებზედაც. სავრთოდ ამისთანა კარეშოება ეოველ ნიჭიერ მსახიობს ძალიან ხელს უშლის. ბ-ნი ალ. ამედაშვილის ნიჭში საკმაო ტემპერამენტი. მას აქვს კარგი ტემპერამენტი. იგი ბონიერი მსახიობია, ეოველ როლს დიდი დაკვირვება-შეგნებით ასახიერებს. კარგად აქვს აწონილ-დაწონილი თავისი ნაკლური როლი და მშვენიერ ფორგლებში ჩამოაყალიბებს ხოლმე ეოველ პიროვნებას. ალაგ-ალაგ მისი თამაში თითქმის მხატვრულ შემოქმედების იერს იღებს. მას ვერ ვუსაყვედურებთ, რომელიმე ტიპს ერთი და იმავე ტრაფარეტით თამაშობსო.

ბ-ნი ალ. ამედაშვილი უნგად არის დაჯილდოვებული ერთ შესანიშნავ თვისებით. ეს გახდავთ მისი სასცენო რიხიანი ხმა. მაკრამ, საუბელურად, იგი ვერ არის დაუენებული ერთ დონეზე. სრულიად არ არის მოკნილი, თვით ხმის ტემბრი ალაგ-ალაგ არა სასიამოვნო კიდოს იღებს, არ არის სათეთა. და ამიტომაც არის, რომ მის ხმაში ვერ იხატება ვერც სიტყვაზე, ვერც კამამეტყველი ალფრთოვანებული სიხარული და ვერც სევდა-მწუხარება ამის კარგად, მსმენელის ხმა სრულიად არ ემოქმედება არც დაბალ და არც მაღალ რეგისტრებში, უფრო სიუალოში დგება ერთ დონეზე და მისი ხმის კამამეტყველებაც მხოლოდ მაშინ იღებს სასიამოვნო ტემბრს. მაკრამ აქვე თითქოს ძენწობს მსახიობი და ნებას არ აძლევს თავს დიაპაზონს, რომ კიაშალოს ბ-ნი ალ. ამედაშვილი მამიკის მხრითაც მოასუსტებს. მსახიობის სახე არ მოძრაობს საკმაოდ, ვერ ხატავს ალამიანის ეეშეგა-სიხარულს*) არც ბალსტიკა ეეარეა, სრულიად მოკლებულია ალასტიკურობას. მისი მიხვრა-მოხვრა მოუხეშავი და ტალანქია. ნამეტნავად როდესაც ბ-ნი ალ. ამედაშვილი ასრულებს ხოლმე მაღალ წოდების პიროვნებას, არისტოკრატს, მაშინ ეს ნაკლი ნათელ ფონზე კიმოდის. ერთი ტუდი თვისება ეეარეა ამ მსახიობს. ეს არის სტენაზე უხერხული სიარული. კაცს ეკითხავ, რომ ამ ალამიანმა სიარული არ იცის. ამის დიდი ეეარალება უნდა მიაქციოს პატეიეტემელმა მსახიობმა. აკრძალვე ტუდი არ იქნება, რომ ბ—ნმა ამედაშვილმა თავის რეპერტეარსაც თავადი გალაკვდოს და ეეარალებით მოეეფრას თავის რანგს. მსახიობი ბევრ შეუეერებელ როლს კისრულობს, რაც მის ამბდეარს ეწინააღმდეგება, რაკრამ, ჩვენის აზრით, ბ—ნი ამედაშვილი ამბდეარს მსახიობია. მხოლოდ ამეკარ როლებში კიმოსეკა, როგორიც ედიპე მეფეა, სხვა ეეარაფრით ვერ ეგზენთო თუ არა ამით, რომ ბ—ნი ამედაშვილი, როგორც სხვა ჩვენი ახალგაზრა მსახიობნი, მეკადმონიეთ ეტანჯება. ჩვენ ის არ კვინდა ეოქვათ, რომ ამკვარ როლების თავი მიანებოს. სრულიადაც არა! ედიპე მეფის, ან ჭაბუტის შესრულებისთვის როდი კმარა მარტო სურვილი ან თუნდაც ნიჭი?! ამისთანა როლები ითხოვენ თუ დაიდ ნიჭს არა, დიდ ტოდანს, დიდ მომზადებას და ჩინებულ ტეხნიკას მიანც. კანონიერი ნაწარმოები—კანონიერ შესრულებას მოითხოვს! თვით დიდებული მსახიობნი რამდენიმე წლით ემზადებიან ამკვარ როლებში ეკითხეს ერთი კამოჩენილი მსახიობი, სამწუხაროდ ახლა მისი სახელი არ მახსოვს, თავის ეეტრიბიოგრაფიაში ეიხსენებდა, რომ: მე შვიდის წლის განმავლობაში ძალიან მოკამზადე ჭაბუტის როლიო და შემდეგ ისე ვეფიზე რამეს სანათლესო. შეიძლება ეს ზოგს კადეკარებული ეკონის, მაკრამ ჩვენ კი სრულ ეეარეფლებად ეიგეკრნა, შეიძლება ბ ნმ ი ედაშვილმა კარგად შეესრულოს ედიპე მეფე, მხოლოდ ხანგრძლივ მომზადების შემდეგ. თუ იგი კარგა შეიმეშვეეს, შეესწავლის და შეიგნების ასამც თუ ძალიერ პიროვნენის ედიპე მეფისას, არამედ თვით ანტიეურ სიფოკლეს ტრაკედიას. მხოლოდ ამისთანა შესრულება, როგორც ამ ეეამად ასრულებს ედიპე მეფეს, სრულია არ არის. თუ მსახიობს კმირისადმი არავითარი კანდა, არავითარი თანაკრძნობა არა აქვს, ის მსახრობი არ კანიცდის გულწრფელად თავის კმირის ტანჯვა-ვეეებს, თუ მასთან ერთად არ იწყის და ალაგვი ამავე ტეტხლით, რა ტეტხლითაც იწყის

*) ოტელოს განსახიერებაში რაოდენათმე აიცილია ეს ნაკლი. **რიდ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი თვისი გმირით, არავითარ თანაგრძნობას არ გამოიწვევს მეუურებელში. მსახიობი თვის გმირის განცდის დროს უნდა იტანჯებოდეს როგორც შობიერე დედა.

ეუნდა ამ ნაკლს, დარწმუნებული ვარო, ჩვენი მსახიობი შრომა-ენერგიის წყალობით თვიდან აიშორებს, რაც ძალიან სასურველია იმისთანა მადლიან ნიჭის პატრონისათვის, როგორც არის ალ. იმედაშვილი, რათა დარსეულად ემსახურის წმინდა ხელოვნებას. ბ—ნი იმედაშვილი ჯერ ისევ ახალგაზდა ძალია და თუ იგი თვის ნიჭს შესაფერ განვითარებას მისცემს, ბრწყინვალე მომავალი მაქვს! მსახიობი თვის შესაფერ როლებში შეუდარებელია და ბეგრჯელად მოუეგანია ჩვენი სახალხოებისა ლტანტებში. მაკალითად ტალიერად სარეულებს დათს როლს „დალატში“ თამამად ვიტეუვთ, რომ იმედაშვილი დათის როლის შემქმნელია. მშვენიერად სარეულებს ეგრეთვე ფარნტ მოორს. ზოგიერთ ადგილში ნამდვილი მხატვრის ხელიც ეტეობა და ეს განთიადის დასაწყისია, რომელსაც ნელ-ნელა მოსდევს მზის სხივები და შემდეგ ფაროდად და უხვად ეფინება ქვეყანას. ჩვენც ვუსურვებთ ახალგაზდა ნიჭს, რომ მისი დასაწყისი განთიადი იყოს დასამამავალი მზე—მისი კეთილდღეობა და განმრწყინება.*)

ვ. გარრიკი

მინადორე და დარიკო

(ეურული სცენა)

მინადორე. გამარჯობა შენი დარიკო.

დარიკო. ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო დაია.

მინად. სა იყავი, ცავ? ეუშინდამ გამეიარე და გამოტანლეციდიყო წითლათ!

დარ. სა ვიყავი და ონიკოსას წეველეთ მე და ჩემი ყანახი, მარა იქინე მისლამდის რომ დემემართა, მისთანა დემართოს შენი ბალნების დამაწყეევარს. ბეჩა შინიდან ქე ბეგედით შვიდობით ცავ... გადეეიარეთ „ნახალოვკის“ ხიდზე თუ არა, მიიხმო აი კაცი ვინცხამ, დუულაპარაკა რაცხა და გამოუშვა. აწაც ბეგეიარეთ, მიიხმო მიორემ.. მესამემ... მიოთხმ... მეხუთემ და კიდომ რეთმა ვინ დეითვლის ბეჩა. ამ ცოაში მეც ქე გავკუედი და ვკითხე რეიზა გიხმობენ მაი ქ ჯებითქვა?! მაგენი მედუქნეებიაო! დუქნების დაკეტვის მერე დგანინ კარზე არაყიანი შუშით“ გამველელ-გამომველელს მიიხმობენ... დუუუსხამენ.. ასმენ და წაალლეტენ ორ გროშსო. ამას რომ მიჩივა ამ დროს დაუსრალდა ბეჩა ფეხი და ხაბურძაკვით არ ჩაკოტრიალდა უშველებელ ორმოში! ვიკივლე, არიქა მიშველეთ ვინცხამთქვა, მარა სა იყო კაცი, კიდომ კაი მანვე შეიმაგრა ფეხი თუ არა, დემემსებოდა თვალი, ქე დეიქეეებოდა კაცი.

მინად. სადაა ცავ მაგფერი ორმო?

დარ. სადაა და ჩერქეზოვის ქუჩის ბოლოს: ვინცხა კოლო ალიხანოვის სახლთან ბეჩა. აი ხუთი ქცეა მიწა ამოღებულია.. შით მოსახლეებშია, ამ მოსახლეებშვა წყალი დგანა იმისთანა რომ ვერ გუუარ სუნით სიახლოვეს. ვკითხე—რად გინდათ აი დამპალი წყალი მეთქი?! მაი ღორი, ბატი და კვატიებისთვის გვინდაო. ღორს, ბატს, და კვატებს ჩივა თვარა, იმას კი არ ფიქრობს, რომ აქანე როცა დუუცხუნებს მზეი მაშინ რომ შავი პირი ამოშპება და მომიწირეხებს კისერსო. ცავ, შემიბრალა, თავარანგელოზმა თვარა—იქინე რომ ჩემ ყაძახს ეტყლურცა თავი, დღეს ფეხებ გაჩხიკინებული იქნებოდა.

მინად. შენ იქოური ყმაწვილ კაცები რომ შეგხვდენოდა, იგენი უფრო მართალს გაკეკმიებდენ, დილიდან საღამომდი ბანქოს თამაშობენ შიშველ მინდორზე, საღამოს გეიწკაპებიან ბატებივით... დაწანწალობენ შარაზე. თუ შეხვდენ ქალი და კაცი მიმავალი, ქალს ისეე მოთათხავენ, ვერც გარეცხოს გონია ტკვარმა... კაცს ისეე მორეხავენ, რომ ქაშის ჭამა უქირდეს და გეისტუმრებენ მასთე

დარ. ოოო იმიზა ჩიკვიან ახლანდელი ყმაწვილების ფასი ჩხირიავო. მაგენი რამეს გააკეთებენ კი არა—გაკეთებულსაც დაღუპვენო! მშვიდობით, ჩემო, დაია, მშვიდობით.

მინად ნახვამდის შენ გენაცვალე.

ალი-ძამია

*) მსახიობმა ალ. იმედაშვილმა თვისი რეპერტუარი გაამდიდრა ოტელოს როლის საუკეთესო აღსრულებით, რომლის განსახიერებაშიაც დიდი ნიჭი გამოიჩინა. ჩ ენ გვგონია, რომ იგი ტრაგიკულ როლებისთვისაა დაბადებული.

რედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოღვაწენი

იოსებ ალექ. გოძიაშვილი (1887—1915),

ხალხურ სიმღერა-კალობის დოტბარი, მოუღოდნელად კარგ. 21 მაისს და იმავე თვის 24, შეტრე-პაულეს სასაფლაოზე დაკრძალეს. დაბ. ქ. თბილისში 13 მარტს 1887 წ. პირველად დაწყებითი სწავლა მიიღო წმ. მარინეს სამრეკლო სკოლაში, შემდეგ ობ. სასუდიერო სემინარიაში სწავლობდა. მოძრაობის დროს თვითკვლვითარების შეუდგა, მოძრაობის ხანაში თავისი წვანარი მუშაობით მუშათა შორის ხელს უწყობდა ძმობა-ერთობის და სიყვარულის კანმტკიცებას. სწერდა დეკლამაციებსაც, მაგრამ საკრთო სიყვარული დოტბარობით დაიმსახურა. სიმღერა-კალობა ბავშვობიდანვე უყვარდა ქქესი წლისამ დაიწყო კალობა წმ. მარინეს ეკლესიაში კ. ჩარკვიანთან, შემდეგ სემინარიაში მდ. კარბელაშვილთან, ბოდო დროს სანდრო და მ. კვესიქეებთან და მ. დაბაძესთან პირველი ადგილი ეჭირა. მ. კვესიძის ძველ გუნდში გამგეობის წევრადაც იყო. 1913 წ. გიორგობისთვეში დაარსა ქალთა გუნდი, მოედი 1913 წ. თავის გუნდით ემსახურა უსასყიდოდ ობილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციას, 1914 წ. დაარსა ვაჟთა გუნდიც. სიმღერა-კალობის დიდის ენერგიით ასწავლიდა უსასყიდოდ. დროგამოშვებით სახოგადო კონცერტებს მართავდა იგი თავის სიმღერებშიც კი მუშათა ცხოვრებას გვიხატავდა: მან პირველმა გაბოიეკნა 1913 წ. სახალხო სახლში 50 ქალისაგან შემდგარი გუნდი, რომელმაც პირველად შესრულა: „მუშებო, ოქვენი მარჯვენა“, „სტირიან თოშის ქალები“, „მარეულია“, „ეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსრულებითაც გვიჩვენა, მაგრამ სრული იაგო-კი მანც ჯერ კიდევ ვერ შეჰქმნა: იაგო თვით ოტელოზეადაც უძნელესი როლია, გარდა შესწავლისა – საჭიროა მისი განცდა, შესისხორცება, მისი ორი ბუნების შეთვისება; შიგა და შიგ ჰქონდა ზოგიერთი ისეთი ადგილები, 3 –ე სურათში, სადაც ჰგრძნობდი, თითქო იაგოს სული ჩაიდგაო, მთლად კი ვერ დაიფლო. წარმოდგენას საზოგადოება ცოტა დაესწრო.

უსავანო

საბალეტო თეატრში სახ. წარმოდგ. მმართველმა წრემ კ. შათირიშვილის რეჟისორობით 24 მაისს წარმოადგინა „ყაჩაღები“, ალ. შაწშიაშვილი ასრულებდა ფრანცსა და კარლოსის როლებს. ფრანცის როლის აღსრულებით შიგა და შიგ ხელოვნების სათანადო სარისხსაც მიაღწია. დიდძალი ხალხი დაესწრო.

ი—ელი

სანდრო კავსაძის კონცერტმა., ნიკო კავსაძის ხელმძღვანელობით გამართულმა სახალხო სახლში 3 ივნისს, დიდძალი საზოგადოება მოიზიდა, და კარგი შრაბეტდილებაც მოახდინა. კონცერტის დაწყებამდე ფრიად შინაარსიანი ლექცია წაიკითხა კომპ. კ. ფოცხვერაშვილმა ქართული ეროვნული მუსიკის შესახებ. რეცენზიის შემდეგ დავბეჭდავთ.

ნაძალადევის თეატრში კვირას, 31 მაისს, დამსახურებულ მსახიობ კ. მესხის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად წარმოდგენილ იქმნა მისივე პიესა „ბაგრატ IV“. ბაგრატის როლს ასრულებდა ბ-ნი გ. სვანიძე. ამ ნიჭიერმა სცენის მოყვარემ კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ნაკისო როლებს პირნათლად ასრულებს. კარგები იყვნენ აგრეთვე ს. სვიმონიძე (ვახტანგი), ი. კანდელაკი (პაატა), ა. ძაძამია (ტუსაღი) ქ-ნ გოგაშვილისამ ვერ დასძლია მარიამის როლი. კარგი იქნებოდა ქ-ნ ქ. კამკამიძეს (ქეთევანს) შესაფერი კაბა ჩაეცვა. თავდებში ძალიან სუსტობდნენ: ი. გოლოგაძე (ქაიხოსრო) ბაბინაშვილი (საბა). წარმოდგენა გვიან დაიწყეს, ხალხი ბლომად დაესწრო. დღეს წარმოაღგენენ რაც გინახავს ვეღარ ნახ“ვ.

სოსო

ქუთაისის თეატრში ქართველ მსახიობთა ამ-ხანაგობის საზაფხულო სეზონი 6 მაისს დასრულდა. არ არის საჭირო იმაზე ლაპარაკი, თუ საერთოდ რა პირობებში უხდებათ ხოლმე ჩვენს მსახიობებს სცენის სამსახური. თუ მივიღებთ მხედველობაში ამას, მაშინ ამხანაგობას მადლობის მეტი არა ეთქმის რა. ყოველგვარი საშუალება იღონეს, რომ სეზონი პირნათლად წაეყვანათ და მართლაც შესძლეს ეს. მართალია 26 წარმოდგენას ხალხი ისეთივე ხალისით არ დასწრებია, როგორც ჩამორის სეზონში იყო, მაგრამ ამაში ბრალი მსახიობთ არამც და არამც არ მიუძღვით. ხალხი დაიღალა და ბოლოს უგულოდ ეკიდებოდა.

რეპერტუარი ამხანაგობას, უნდა ითქვას სიმართლე, უკეთესი ჰქონდა, ვინემ ზამორის სეზონში იყო. საგასტროლოდ მოწვეულნი იყვენ ქ. ნინო ჩხეიძის ასული რამდენჯერმე და ბ. ზარდალიშვილი დასში ისეთი შესამჩნევი ძალები იყვენ, როგორც ბ. ბ. იშხნელი, ყალაბეგიშვილი და სხ. რეჟისორად ყოველთა ახალგაზდა, ნიჭიერი და განვითარებული გემოვნების პატრონი ბ. კ. ანდრონიკაშვილი. მოწვეული იყო აგრეთვე საგასტროლოდ ბ. შალიკაშვილი. რეპერტუარიდან განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ორი ნათარგმნი პიესა, რომელიც პირველად დაიდგა ქუთაისის სცენაზე: „დაძირული ზარი“, რომლის შესახებ მცირეოდენი გამონაკლისით, შეიძლება ითქვას, რომ უნაკლულოდ იყო დადგმული შემდეგ კი „იუდას მემკვიდრე“. ორიგინალური პიესებით ეს სეზონი უფრო მდიდარი იყო. დასახდეს: ბ. დ. კლდიაშვილის ერთმოქმედებიანი ტრაგედია: „უბედურება“, რომელიც ხალხს ძლიერ მოეწონა, ი. გომართლის კომედია „იასონის ოინები“. რომელიც ქუთაისის სცენაზე პირველად დაიდგა; შოთა დადიანის დრამა „განწირულნი“ კ. ანდრონიკაშვილის საბენეფისოდ. ამ პიესამ უფერულად ჩაიარა და განსაკუთრებითი დამსახურება ამაში ბ. არადელ-იშხნელს მიუძღვის, რომელმაც პირველხარისხოვანი როლი პიესაში სრულიად დაჩრდილა. ბ. შალვა სანგბლიძის პიესა „ცხოვრების ტალღებში“, რომლის სიუჟეტი მოძრაობის ხანიდან არის აღებული, დასდგა ბ. გვარამაძემ თავის საბენეფისოდ. დამსწრე საზოგადოებას ეს პიესა ძლიერ მოეწონა

საერთოდ ამხანაგობა ძლიერ ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ესაამოვნებინა საზოგადოებისათვის, და, მე მგონია, ამას დასმა სრულებით მიაღწია. ყოველ პიესის დადგმის ეტყობოდა სიდინჯე, მომზადება და ერთსულოვნება.

უსურვებ მსახიობებს შემდეგშიაც ასეთი მუყაითობა გამოეჩინონთ.

№

ხაშურის ქართ. დრამატ. წრის გამგეობამ, რომლის თავმჯდომარეადაც ბ—ნი კ. ძნელაძე, მეტად საგულისხმიერო და სასარგებლო ნაბიჯი გადასდგა სათეატრო საქმის პროვინციაში გადატანის ასპარეზზე და აი, ამ მიზნის განსახორციელებლად, სოფ. ზემო-გომის ინტელიგენციის სურვილით, შემოიერთეს რა გომის რაიონი თავის სამოდვაწეო რაიონში, გადასწყვიტეს, როგორც დ. ხაშურში, აგრეთვე სოფ. ზემო-გომში და ახლო მდებარე სოფლებში მოაწყონ იაფ - ფასიანი სახალხო წარმოდგენები. ამ მიზნის განსახორციელებლად წესები შეიმუშავეს და გომში საქმის მომწყობი კომიტეტიც-კი აარჩიეს (თ-დი ვ. ბაგრატიონ-დავითიშვილი, კვალიაშვილი, კაველაშვილი, შანშიაშვილი, კაველაშვილი, კეკელიძე, გოგავა, მოსიაშვილი და სილვესტროვი . პირველი წარმოდგენაც უკვე დაიდგა კვირას—24 მაისს გომის სამეურნეო ამხანაგობის ფართო შენობაში, რომელშიაც მეტად მოხდენილი სცენა იყო მოწყობილი, ახლად დაარსებულმა წრემ—ხაშურის ქართ. დრამ. წრის გამგეობის თაოსნობით და ამავ წრის სცენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვარეთა მონაწილეობით, გაჰმართა პირველი ქართ. წარმოდგენა. ითამაშეს ირეთელის 5 მ. დრამა „დამარცხებულნი“, რომელიც საუცხოოდ იქმნა შესრულებული წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. შემდეგი წარმოდგენა განხრახულია ამ მოკლე ხანში.

ნიკო გურული

წვრილი ამბები

◆ სახალხო სახლში 7 ივნისს წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე.“

◆ აკაკის საღამო სახაზინო თეატრში გაიმართება 9 ივნისს, მგოსნის დაბადების დღეს.

◆ რუსულ სათეატრო ჟურ. „Рампа и Жизнь“ მე--21—ე ნომერში მოთავსებულია წერილი: „ქართველები და ქართული თეატრი“, მოკლე ისტორიული მიმოხილვა, კოტე აბაშელისა (?). ამავე ნომერში მოთავსებულია ვლ. ალ. მესხიშვილის სურათები რასპლიუევისა და ურიელ აკოსტას („ეცდომით ჰამლეტი აწერია) როლებში.

◆ რეჟისორი ალ. ფუფუნავა აცხადებს, რომ ზამთრის სეზონის გათავებისთანავე ქართ. მსახ. ამხანაგობას ჩამოშორდა.

◆ სად. აჯიჟაგულში 9 ივნისს—„აკაკიობას“, დიდებულ მგოსნის აკაკ ს ფონდის გასაძლიერებლად ადგ ილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართება აკაკის საღამო შემდეგის პროგრამით: 1 მიხ. კიაზოშვილი (ხერხეულიძე) წაიკითხავს მოხსენებას: „აკაკი, როგორც ისტორიულ საქართველოს გამომსახველი“. 2 -წარმოდგენილ იქმნება აკაკის „პატარა კახის“ მეორე დ·გ. ერისთავეს „დავა“—ს მეოთხე მოქმედებანი. 3 აპოთეოზი: აკაკის სურათთან წაიკითხავენ აკაკისავე ლექსებს

◆ ვასო ურაშაძეს დაუწერია ახალი ორიგინალური ერთ მოქმედებიანი კომედია „ომი ოსმალეთთან“.

◆ ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ ვასო ურაშაძის მეთაურობით გამართა წარმოდგენები სამტრედიას, ხონსა და ყვირილაში („დამთხვეული დედაკაცი,“ კომ. „ომი ოსმალეთთან)“. შემოსავალი ყველგან კარგი იყო. დასი: ქ. მარო მდივანი. ნ. ჯავახიშვილი, ბ. ბ. ი. ბარველი, ა. ყალაბეგიშვილი, ვ. ურაშაძე, დ. ჩხეიძე და გ. გურული.

◆ ზაფხულის სეზონისთვის დაბა ყვირილაში ქართველ მსახიობთა ამხანაგობას განუზრახავს წარმოდგენების მართვა ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში. ჯერ ჯერობით დასში ირიცხებიან: ქ. ქ. მ. მდივანი, ნ. ჯავახშვილი, კ. ოუზაძე, ბ. ბ. ვ. არაბიძე, არ. არაბიძე, ი. ბარველი, ნ. ასათიანი, ა. ყალაბეგიშვილი, ა. სანდალიძე, ნ. ჩხეიძე, ვ. ურაშაძე, მოკარხე გ. გურული.

◆ ვალ. გუნიას რეჟისორობით და ტ. აბაშიძის მონაწილეობით სახალხო სახლში 10 ივნისს წარმოდგენილი იქნება „ედმონდ კინი“. კინის როლს შეასრულებს ვ. გუნია.

◆ ახალ ქლუბის მამასახლისთა საბჭომ მიიწვია მსახიობი ვასო აბაშიძე და იუზა ზარდალიშვილი მთელი ზაფხულის განმავლობაში წარმოდგენების სამართავად.

◆ დ. ხაფურში საზაფხულო სეზონი დაიწყება შაბათს, 13 ივნისს ხაფურის ქარ. დრამ. წრის მიერ—მსახიობ-ქალის ა ზოთაძის და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით. წარმოადგენენ ა. გარდელის ახალ ორიგინალურ პიესას „გაწყვეტილ სიმს“ (ვახტანგს შეასრულებს ი. ზარდალიშვილი). შემდეგისათვის განზრახულია „უბედური“—სა და ჭეერმანნის „იმედის დაღუბვა“—ს წარმოდგენა.

◆ ნაჯალადევის სეზონის მოუვარეთა კრება შესდგა 24 მაისს. დაამტკიცეს ერთი წლის შემოსავალ-გასავალი (შემოსავ. 1498 მ. 87 კ. გასავ. —1519 მ. 30 კ) და ხარჯთაღრიცხვა—2170 მ. მიიღეს ახალი წევრები და სარეპერტუარო კომისია აირჩ.ს. ფასები 10—30 კ.

◆ თელავში არსდება ქართ. დრამ. წრე კ. შ. წ. კ სახ—ის განყოფილებასთან. წრეს განზრახვა აქვს საჭირო თანხას მოუყაროს თავი სასკოლო —საოპერო დარბაზის ასაშენებლად.

◆ ისტორიკოს ეპ. იოსელიანის გარდაცვალების ორმოცი წლის თავი სრულდება 15 ნოემბერს

ახალგაზდა მოამღერალ ა. ინაშვილს მონაწილეობით 8 ივნისს სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო“. თვით ინაშვილი შეასრულებს რიგოლეტოს პარტიას.

შემოწირულება

პრაპორაშჩიკმა და აკოფაშვილმა შემოსწირა: 1) აკაკის ფონდისთვის 10 მან. 2) ქართული თეატრის ასაგებად—10 მ. და 3) ეურ. „თეატრი და ცხოვრების“ გასაძლიერებლად—10 მ. სულ 30 მან. რისთვისაც გულითადი მადლობა ეძღვნის შემოწირველს.

მ ო ნ ი ტ ო ბ რ ო ბ ა

ახალი წიგნაკი—„ოჩი სიბეჭვა“—ივ. გომაროლისა და კიტა აბაშიძისა, ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების გამოცემა, № 3 წიგნაკი დაბეჭდილია მშვენიერ ქაღალდზე, სუფთად, შეიცავს 24 გვ. და ჰღირს 20 კ. სასურველია ეს წიგნაკი მრავლად გავრცელდეს ხალხში.

ფ ო ს ტ ა

ხიდისთავი გ ლ ს. მოთხრობა ვერ დაიბეჭდება. ზეპირსიტყვიერება—ანდაზები, გამოცანები, ლექსები და სამკურნალო ლოცვები გამოგზავნეთ, განვი, ხილავთ. სხვა ნაწერებიც—თუ გამოდგა, დაიბეჭდება.

დუშეთი. „დუშეთის სოფლის მასწავლებელს“. თქვენი წერილი, როგორც ხელმოუწერელი და მასთან უმაროებულო კილოთი დაწერილი, ვერ დაიბეჭდება

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა.

ამა 1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი

„ახალი მოამბე“

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიავშვილი, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი

ჟურნალში დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25—დე, ზომით 15—20 ფორმამდე

რედაქციის ბინა: თბილისი. ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тифлисъ, ред. груз. жур „Ахали Моамбэ“.

ფასი: წლიურად 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, редакція груз. жур. „Ахали Моамбэ“ Ивану Спир. Элашвили.

რედაქტორ-გამომცემელი **ნინო ბეუ. ყიფიანისა**

ახლახან გაისსნა

ა ფ თ ი ა ქ ი

პროფეზორის ა. ს. ახვლედიანისა

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

(გვირაბობით) **სურათებიანი დამატებით** (გვირაბობით)

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ.

ცალკე № მაურად, დამატებიანი 7 კ.

ხელის მოწერა მიიღება: „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. ზ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკეესთან.

ფოსტით: Тифл., газ. »Сахалхо Пурцели«, почт. ящ. № 190.

ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი ეშმაკი

ეშმაკის ბაირაკი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი** და **თგგუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა. ბ. ბეკია.

თანამშრომლები: ადაბეგოვი, ალავერდელი, ბ. ბ. ბეგ. ბ. ბ. ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორე შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასმდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელ-კვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შელავათითაც შეიძლება; ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ქურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში „სრაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

თევზის ძრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9

ტელეფონი № 71-2.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ძვეშ

საკუთარ სახლში

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი

როგორც კუშკინის ქუჩაზე

ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებული, საუცხოოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზავრეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (ᲕᲐ)